პრეზიდენტი
თომას ს. მონსონი

სულიერად მდიდარი ცხოვრება

ამ ახალი წლის პირველ დღეებში, მე მინდა ყოველ უკანასკნელი დღეების წმინდანს მივცე მნიშვნელოვანი დავალება ჰკითხოს საკუთარ თავს: ცხოვრობს ის „სულიერად მდიდარი ცხოვრებით“ — ანუ ცხოვრებით, რომელიც სავსეა წარმატებით, სიკეთითა და დალოცვებით? მე თითოეულ თქვენთაგანს ვთავაზობ ჩემ საკუთარ სულიერად მდიდარ ცხოვრების ანბანს (ABC), სადაც A ნიშნავს განწყობას ან დამოკიდებულებას, B-რწმენას საკუთარ თავში, C-გამბედაობას.

იქონიეთ დადებითი დამოკიდებულება

A ჩემს ანბანში ნიშნავს დამოკიდებულებას. უილიამ ჯეიმსი, ერთ-ერთი პირველი ამერიკელი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი, წერდა: „იმის აღმოჩენა, რომ ადამიანს თავისი შინაგანი დამოკიდებულების შეცვლით, ძალუძს შეცვალოს გარეგანი ცხოვრების ასპექტები გახლავთ ჩვენი თაობის უდიდესი აღმოჩენა“[1]

ცხოვრებაში იმდენი რამ არის დამოკიდებული ჩვენს განწყობაზე, იმაზე, თუ რა კუთხით შევხედავთ მოვლენას და რა რეაგირებას მოვახდენთ მასზე. გავაკეთოთ ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია და ჩვენი ცხოვრების პირობების მიუხედავად შევინარჩუნოთ ბედნიერი განწყობა, — აი როგორი დამოკიდებულება მოგვიტანს სიმშვიდესა და კმაყოფილებას.

ჩარლზ სვინდოლმა, — მწერალმა, განმანათლებელმა და პასტორმა, ბრძანა: „ჩემი აზრით, დამოკიდებულება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პიროვნების წარსული, ფული, გარემოება, წარუმატებლობა და წარმატება, ან ის, რასაც სხვები ფიქრობენ, ამბობენ ან აკეთებენ. ის გარეგნობაზე, ნიჭიერებასა და ჩვენს უნარებზეც უფრო მნიშვნელოვანია. დამოკიდებულებას შეუძლია, როგორც შექმნას ასევე გაანადგუროს კომპანია, ეკლესია, ოჯახი. მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ ყოველდღიურად ვაკეთებთ არჩევანს, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა განწყობა გვქონდა გადაწყვეტილების მიღების დროს”.[2]

ჩვენ ვერ შევუცვლით ქარს მიმართულებას, სამაგიეროდ ჩვენ შეგვიძლია აფრის გამოყენებით იგი დავიმორჩილოთ და გემი ვმართოთ. მოდით ჩვენი სრულყოფილი ბედნიერების,სიმშვიდისა და კმაყოფილებისთვის *ავირჩიოთ* დადებითი დამოკიდებულება.

გწამდეთ საკუთარი თავის

B ჩემს ანბანში ნიშნავს, რწმენას — საკუთარ თავში, ჩვენს ირგვლივ მყოფ ადამიანებში და

ერთგულებას მარადიული კანონის მიმართ.

იყავით გულწრფელნი საკუთარ თავთან, თქვენს ირგვლივ მყოფ ადამიანებთან და ღმერთთან. შექსპირის ნაწარმოების გმირი, კარდინალი ვულსი, არ იყო გულწრფელი ღმერთის წინაშე. ის მთელი ცხოვრების მანძილზე ემსახურებოდა სამ ბატონს და ტკბებოდა სიმდიდრითა და ძალაუფლებით. დადგა დრო, როცა მეფემ მას ყველაფერი წაართვა, და მაშინ კარდინალმა ვოლსმა სასოწარკვეთილმა წამოიძახა:

ამის ნახევარი თავდადებით ღმერთისთვის,
რომ მემსახურა!
მე ვემსახურე ჩემს მეფეს, მან კი გამრიყა!
დამტოვა უძლური მტრების წინაშე.[3]

მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისელი სასულიერო პირი და ისტორიკოსი, თომას ფულერი, წერდა: „ვინც თავის რწმენის შესაბამისობაში არ ცხოვრობს, მას რწმენა არ გააჩნია“.[4]

არ შეზღუდოთ საკუთარი თავი და სხვებსაც არ მისცეთ უფლება დაგაჯერონ, რომ თქვენ შესაძლებლობებს აქვთ ზღვარი. გწამდეთ საკუთარი თავის და იცხოვრეთ ისე, რომ შეძლოთ თქვენი შესაძლებლობების გამოყენება.

თუ გწამს, რომ შეგიძლია, შეძლებ. ენდეთ საკუთარ თავს და იქონიეთ რწმენა.

გაბედულად შეხვდით სირთულეებს ცხოვრებაში

როდესაც, ადამიანი გადაწყვეტს არა ღირსეულ სიკვდილს, არამედ ღირსეულ ცხოვრებას, მაშინ ეძლევა გამბედაობას აზრი და ფასი.

ამერიკელმა პოეტმა და ესეისტმა, რალფ ვალდო ემერსონმა, თქვა: „ყველაფერს, რასაც აკეთებთ, სჭირდება გამბედაობა. როდესაც რაღაცის გაკეთებას გადაწყვეტთ, ყოველთვის მოიძებნება ვინმე, ვინც გეტყვით, რომ ცდებით. ყოველთვის გაგიჩნდებათ სირთულეები, რათა დაგარწმუნონ, რომ თქვენი კრიტიკოსები არ ცდებიან. როგორც ჯარისკაცს ბრძოლის ველზე ესაჭიროება გამბედაობა, ასევე ჩვენც გვჭირდება გამბედაობა ჩვენი დასახული გეგმების ბოლომდე მისაყვანად. მშვიდობის დასამყარებლად გვჭირდება გამარჯვება, მაგრამ გამარჯვების მოსაპოვებლად მამაცი ქალები და მამაკაცებია საჭირო.“[5]

დადგება დრო, როდესაც შიში და იმედგაცრუება შეგიპყრობთ. შესაძლოა იფიქროთ, რომ დამარცხდით. შეიძლება აზრად მოგივიდეთ, რომ გამარჯვების შანსი არ გაქვთ. ზოგჯერ მოგეჩვენებათ, რომ გოლიათს უნდა შეეჯიდოთ, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ დავითმა ის დაამარცხა!

სანუკვარი მიზნის მისაღწევად საჭიროა გამბედაობა, მაგრამ რამდენად მეტი გამბედაობაა საჭირო, მაშინ, როდესაც დაეცემი და ისევ ფეხზე უნდა დადგე.

იქონიეთ მცდელობის სურვილის უნარი, არ დაიშუროთ ძალ-ღონე სანუკვარი მიზნის მისაღწევად და იქონიეთ გამბედაობა არა მხოლოდ წინ აღუდგეთ სირთულეებს, რომლებიც აუცილებლად გექნებათ, არამედ იქონიოთ ძალისხმევა დადგეთ ფეხზე მას შემდეგ, რაც დაეცემით. „ზოგჯერ გამბედაობა არის ის ჩუმი ხმა, რომელიც დღის ბოლოს ჩაგიჩურჩულებს: ‘ხვალ ისევ ვეცდები’“.[6]

ამ ახალი წლის დასაწყისში მოდით დავიმახსოვროთ ეს ანბანი (ABC), შევიქმნათ დადებითი დამოკიდებულება, ვიქონიოთ რწმენა, რომ შევძლებთ დასახული მიზნების მიღწევას, და გვეყოს გამბედაობა გადავლახოთ ყველა ის სიძნელე, რომელიც წინ დაგვხდება, და თუ ასე ვიმოქმედებთ, ჩვენი ცხოვრება სულიერად მდიდარი იქნება.

მენიშვნები

1. უილიამ ჯეიმსი, ლოიდ ალბერტ ჯონსონის კრებულში *A Toolbox for Humanity: More Than 9000 Years of Thought* (2003), 127.
2. ჩარლზ სვინდოლი, დანიელ ჰ. ჯონსტონის *Lessons for Living* (2001), 29.
3. უილიამ შექსპირი, *მეფე ჰენრი მერვე,* მოქმედება 3, სცენა 2, სტრიქონი 456–58.
4. თომას ფულერი, ჰ. ლ.მენჰენის გამოცემა *A New Dictionary of Quotations* (1942), 96.
5. რალფ ვალდო ემერსონი, როი ბ. ზაქის *The Speaker's Quote Book* (2009), 113.
6. Mary Anne Radmacher, *Courage Doesn't Always Roar* (2009).

ამ მოწოდების სწავლება.

სთხოვეთ ოჯახის წევრებს გაგიზიარონ პირადი გამოცდილება, თუ როგორ დაეხმარა მათ დადებითი განწყობა, საკუთარი თავის რწმენა ან გამბედაობა; შეგიძლიათ მიმართოთ მათ თხოვნით იპოვონ წმინდა წერილებში ამ სამი პრინციპის მაგალითი. შეიძლება წინასწარ მოიფიქროთ საკუთარი მაგალითი ან ლოცვაში მიიღოთ შთაგონება იმ წმინდა წერილების

ნაწყვეტებზე, რომლებიც უნდა გაუზიაროთ სხვებს სწავლების დროს.

ახალგაზრდები

ქარიშხალს არ შეუშინდნენ

მედისონ მორლის მიერ

ᲕᲐᲚᲝᲡ ახალგაზრდა ქალების ლაშქრობის მეორე ღამეს ქარიშხალი და ტორნადო დაგვატყდა თავს. ჩემს მეურვეობაში დაახლოებით 24 ახალგაზრდა ქალი იყო, მათ შორის ორი ხელმძღვანელი. ჩვენ ყველას მოგვიწია თავის შეფარება ერთ პატარა ქოხში. ძლიერად წვიმდა, ქარი უფრო და უფრო ბობოქრობდა. მე სულ ვიხსენებდი იმ ლოცვას, რომელიც ჩვენს წასვლამდე პალოს პრეზიდენტმა აღავლინა. ჩვენმა მეურვეობამაც ილოცა ქოხში, მე მათთან ერთადაც ვილოცე და ცალკეც.

ბევრი გოგონა შეშინებული იყო, გასაგებია რატომაც. ჩვენი ქოხი არც თუ ისეთი მყარი იყო, თანაც ჩვენ მდინარესთან ვიყავით დაბანაკებულები. დაახლოებით 20 წუთში ქარიშხალი იმდენად გაძლიერდა, რომ მთელი მეურვეობა გამოიქცა მრჩევლების ქოხებისკენ, რომლებიც უფრო ამაღლებულ ადგილას იდგნენ. ჩვენმა პალოს პრეზიდენტმა ისევ ილოცა, ჩვენ კი დასამშვიდებლად საეკლესიო ჰიმნები, საბავშვო და ლაშქრობის სიმღერები ვიმღერეთ. დიახ, ჩვენ შეგვეშინდა, მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. უკვე ნახევარ საათში ჩვენ შეგვეძლო ჩვენი მეურვეობის ქოხებში დაბრუნება.

მოგვიანებით გავიგეთ, თუ რა მოხდა იმ ღამეს. თურმე ტორნადომ გვერდი აგვიარა და გაიყო ორი მიმართულებით, მაღჯვნივ და მარცხნივ. ის, რაც ჩვენთან მოხდა, არაფერი არ იყო იმასთან შედარებით, რაც შესაძლებელი იყო მომხდარიყო.

მე ვიცი, რომ იმ ღამეს ღმერთმა შეისმინა ჩვენი ლოცვა და დაგვიფარა უბედურებისგან. გაიყოფოდა ტორნადო ორი მიმართულებით თუ არა ღმერთის ნება? მე ვიცი, რომ როდესაც ჩვენს ცხოვრებაში ქარიშხალი ამოვარდება, ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია ვილოცოთ და მამაზეციერი შეისმენს ჩვენს ლოცვას, გაგვცემს პასუხს და მოგვცემს გამბედაობას; ის დაგვიფარავს უბედურებისგან.

ბავშვები

კაპიტანი მორონი

ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ მორონი გაბედულად ხვდებოდა სირთულეებს. მას უყვარდა სიმართლე, თავისუფლება და ძლიერი რწმენა ჰქონდა. მან მთელი ცხოვრება მიუძღვნა ნეფიელთა თავისუფლების შენარჩუნებას. თქვენ შეგიძლიათ დაემსგავსოთ გამბედაობაში კაპიტან მორონის. ჩამოწერეთ ის, რაც მნიშვნელოვანია თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის. ამის საფუძველზე თქვენ შეგიძლიათ შექმნათ თავისუფლების საკუთარი დევიზი.

დამატებითი ინფორმაციისთვის

ალმა 46:11–27: თავისუფლების დევიზი

ალმა 48:11–13,16–17: მორონის ადამიანური თვისებები

© 2012 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი *First Presidency Message, January 2012.* Georgian. 10361 131

შინა მასწავლებლის როლში ზრუნვა და მსახურება

შეისწავლეთ ეს მასალა და საჭიროებისამებრ განიხილეთ ის დებთან, ვისაც სტუმრობთ. დაუსვით შეკითხვები, რათა შესძლოთ თქვენი დების განმტკიცება და ასევე იმისათვის, რომ მოწყალების საზოგადოება გახდეს თქვენი ცხოვრების აქტიური ნაწილი.

პირველ პრეზიდენტთა პირველი მრჩეველი, პრეზიდენტი ჰენრი ბ. აირინგი გვასწავლიდა: „მოწყალება გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე კეთილგანწყობა. მოწყალება იბადება იესო ქრისტეს მიმართ რწმენაში და მისი გამოსყიდვის მსხვერპლშეწირვის შედეგია“[1]. მოწყალების საზოგადოების დებისთვის, მათი შინა მასწავლებლის დავალების შესრულება შეიძლება იქცეს, მათთვის მოქმედებაში მოწყალების გამოვლენისა და მაცხოვრის მიმართ რწმენის გამოჩენის მნიშვნელოვან ხერხად.

შინა მასწავლებლის დავალების შესრულებისას ჩვენ ვზრუნავთ თითოეულ დაზე, ვუზიარებთ სახარების გზავნილს და ვცდილობთ გავიგოთ პირადად მისი ან მისი ოჯახის გასაჭირი. მოწყალების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტი, ჯული ბ. ბექი გვიხსნის: „ჩვენ ვემსახურებით უფალს მაშინ,როდესაც შინა მასწავლებლის დავალების შესრულებისას მთელი ყურადღება გადაგვაქვს ადამიანებზე და არა პროცენტულ მაჩვენებლებზე. სინამდვილეში შინა მასწავლებლის დავალება არ მთავრდება. ეს უფრო ცხოვრების სტილია, ვიდრე დავალება. ჩვენი შინა მასწავლებლის წოდებაში ერთგული მსახურება ჩვენი მოწაფეობის დასტურია.”[2]

თანამიმდევრული და ლოცვით აღვსილი მსახურებით ჩვენ ვსწავლობთ, თუ როგორ უკეთ ვემსახუროთ ყოველ დას და მის ოჯახს. მსახურებას შეიძლება ჰქონდეს უამრავი ფორმა. „ხშირად ადამიანის განწყობის ასამაღლებლად მსახურების სულ პატარა მოქმედებაც კი საკმარისია: გულწრფელი კომპლიმენტი, მადლობა, სატელეფონო ზარი, გამხნევება, ოჯახის მოკითხვა“, -გვასწავლიდა პრეზიდენტი თომას ს მონსონი. „თუ ჩვენ ვართ დაკვირვებულნი, გათვითცნობიერებულნი და ვმოქმედებთ შთაგონებით, ბევრი სიკეთის გაკეთებას შევძლებთ … მოწყალების საზოგადოების შინა მასწავლებლების დების მსახურების მაგალითები უთვალავია.“[3]

ჩვენი ისტორიიდან

1843 წელს ილინოისის შტატში, ნავუში, მრევლი გაიყო ოთხ მეურვეობად. იმავე წლის ივლის მოწყალების საზოგადოების ხელმძღვანელებმა, ყოველი მრევლისთვის დანიშნეს კომიტეტი, რომელშიც ოთხ-ოთხი და შედიოდა. ამ კომიტეტებს ევალებოდათ არსებული საჭიროებისთვის შემოწირულობების შეგროვება. მოწყალების საზოგადოება იყენებდა ამ შემოწირულობებს გაჭირვებულების დასახმარებლად.[4]

მართალია შინა მასწავლებლები აღარ აგროვებენ შემოწირულობებს, მაგრამ ისინი, მაინც პასუხისმგებელნი არიან გაუწიონ მიწიერ და სულიერ გასაჭირში მყოფ ადამიანებს დახმარება. ელიზა რ. სნოუ (1804–87), მოწყალების საზოგადოების მეორე გენერალურმა პრეზიდენტმა, აგვიხსნა: „მასწავლებელს იმდენად ძლიერი სული წმინდა უნდა ახლდეს, რომ სხვის ოჯახში შესვლისას მან უნდა იცოდეს, რა სული ტრიალებს იქ … ილოცეთ, რამეთუ მიიღოთ ღვთისაგან წმინდა სული, რომელიც გიკარნახებთ, თუ როგორ უნდა მოიქცეთ ოჯახში, რომელსაც სტუმრობთ. თუ იქ სიმშვიდე და ნუგეშია საჭირო სული წმინდა გაპოვნინებთ შესაბამის სიტყვებს. თუ ვინმეს სცივა ის მოგცემთ იმის ძალას, რომ ეს ადამიანი გულში ჩაიკრათ და გაათბოთ.“[5]

შენიშვნები
1. ჰენრი ბ. აირინგი, “The Enduring Legacy of Relief Society,” *Liahona,* ნოემბერი 2009, 124–25.
2. ჯული ბ. ბექი, “Relief Society: A Sacred Work,” *Liahona,* ნოემბერი 2009, 114.
3. თომას ს. მონსონი „სამი მიზანი რომელიც გაგიძღვება წინ,” *Liahona,* ნოემბერი 2007, 120–21.
4. იხილეთ *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* (2011), 105.
5. ელიზა რ.სნოუ, *Daughters in My Kingdom,* 108.

წმინდა წერილებიდან

იოანე 13:15, 34–35; 21:15; მოსია 2:17; მოძღვრება და აღთქმები 81:5; მოსე 1:39

რა შემიძლია გავაკეთო?

1. რას ვაკეთებ იმისთვის, რომ ვაგრძნობინო დებს, ჩემი მათ მიმართ სიყვარული და ზრუნვა?

2. როგორ შემიძლია უკეთ მოვუარო სხვებს და ვიზრუნო მათზე?

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

© 2012 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი *Visiting Teaching Message, January 2012.* Georgian. 10361 131